პირველი წრის ფინიშზე

კიევი. ცენტრალური სტადიონი. 17 ივლისი.

“დინამო” (კიევი) – “დინამო” (თბილისი) 2:0 (1:0).

კიევი: იურკოვსკი, კონკოვი, მატვიენკო, ფომენკო, ლოზინსკი, ტროშკინი, მუნტიანი (რეშკო), ბერეჟნოი, ბურიაკი (სლობოდიანი), ვერემეევი, ბლოხინი;.

თბილისი: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, კოსტავა, გ. მაჩაიძე (შენგელია), მ. მაჩაიძე, ქორიძე (კოპალეიშვილი), გუცაევი, ყიფიანი, ჩელებაძე.

მსაჯი: ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

გაფრთხილებული არიან რ. ჩელებაძე, ფ. კანთელაძე.

დუბლიორები – 2:2. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს გოგოლაძემ და ჩივაძემ.

მოხდა ისე, რომ სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველი წრის ცენტრალური მატჩი, რომელსაც უნდა გამოევლინა გათამაშების ამ ეტაპის ლიდერი, შედგა სწორედ ბოლო ტურში. კიევის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს თბილისელი თანაკლუბელები. ამ მატჩში წყდებოდა გათამაშების პირველ ნახევარში გამარჯვებულის საკითხი, თუმცა კიეველებს კიდევ აქვთ სათამაშო მე–2 ტურის გამოტოვებული შეხვედრა ოდესის “ჩერნომორეცთან” (10 აგვისტო).

მატჩი მიმდინარეობდა უკიდურესად დაძაბულ, საბრძოლო ვითარებაში. მისი დასაწყისი კიეველთა უპირატესობით აღინიშნა. მე–17 წუთზე სტუმრების კართან დაინიშნა კუთხური, მიაწოდა ვერემეევმა, ბლოხინმა თავით შეუცვალა ბურთს მიმართულება და იგი კარის შორეულ კუთხეში ჩაეშვა ბადეში – 1:0.

ეს გოლი დიდხანს ერთადერთი იყო ამ მატჩში. ორივე გუნდი მოქმედებდა მობილიზებულად, ენერგიულად. ერთ–ერთ მომენტში ყიფიანმა შეძლო ცარიელ კარში გაეგზავნა ბურთი, მაგრამ მას ზედ ხაზზე მიუსწრეს მცველებმა და გადაარჩინეს გუნდი გოლს.

85–ე წუთზე თბილისელთა კარში დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. ბლოხინმა საკმაოდ შორი მანძილიდან შეძლო მეორე ბურთიც გატანა და კიეველებმა მეტად დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს, რის შედეგადაც გათამაშების ცხრილში პირველ ადგილზე გადაინაცვლეს.

“ლელო”, 20 ივლისი, 1977 წ.